№ 358

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# წითელი მეომარი

1923 სექტემბერი 5 ოთხშაბათი
(სახ. მოციქულთა დღესასწაული)

წელიწადი მესამე.

რედაქციის მისამართი ტფილისი სასახლის ქ. № 5 (ცენტ. წითელ-არმიელთა კლუბი)
რედაქცია ღიაა ყოველდღე, გარდა კვირა უქმე დღეებისა 9—2 საათ.

ხელის მოწერის თვიური ფასი 3 მილ. მან.
დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, სუფთად და მელნით ავტორის ხელის მოწერით. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

№ 358 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განყოფილების ყოველ დღიური გაზეთი. ფასი 100,000 მანეთი. № 358

## სტუმრობას დაუხშირეს.

ამ უკანასკნელ ხანებში საბჭოთა რესპუბლიკებში ხშირად ვხედავთ უცხოელ სამრეწველო ფირმების წარმომადგენლებს. ჩვენს რესპუბლიკებს ესტუმრებიან ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის, იტალიის და სხვა მრავალ სახელმწიფოების წარმომადგენლები. ამ ჟამად მოსკოვში მიმდინარეობს სრულიად საკავშირო სასოფლო სამეურნეო გამოფენა. ამ გამოფენაზე გაცხოველებულ მონაწილეობას ღებულობენ ევროპა-ამერიკის და აზიის სახელმწიფოების ვაჭარ-მრეწველნი. იმათ მოაქვთ თავიანთი ნაწარმოები მოსკოვში გამოსაფენად, ამავე დროს ისინი ეცნობიან საბჭოთა ქვეყნების მეურნეობის მდგომარეობას, მის ნაკლს, ღირსებას; რა სჭირია საბჭოთა ქვეყნებს და რის მიცემა შეიძლება საბჭოთა რესპუბლიკებიდან.

ინგლისის ერთ-ერთ უძლიერეს ფირმის წარმომადგენლები, რომელიც აერთიანებს რამოდენიმე ათეულ ფირმებს და ინგლისის ეკონომიურ ცხოვრებაზე დიდი გავლენა აქვს, დღეს მოსკოვში იმყოფებიან ბალდვინის მეთაურობით, ეს ბალდვინი ინგლისის დღევანდელ პრემიერის ბიძაშვილია, რომელსაც აქვს წილი აღნიშნულ ფირმაში. საბჭოთა რესპუბლიკებში სტუმრად დაუხშირებენ ამერიკელებმაც. ამერიკელი სენატორები და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწენი მოდიან ჩვენში, ეცნობიან ჩვენს მდგომარეობას და კმაყოფილებით აღნიშნავენ ჩვენს წარმატებას და წინსვლას მეურნეობის და მრეწველობის საქმეში. საფრანგეთის საქმიან წრეების წარმომადგენლებსაც ხშირად ვხედავთ რუსეთში. ამას წინად მოსკოვში ჩავიდა საფრანგეთის მრეწველების და ბანკირების დელეგაცია; დელეგაციას მოლაპარაკება ჰქონდა ჩვენ მთავრობასთან და სრულიად კმაყოფილი დაბრუნდა უკან იმედით, რომ მოკლე ხანში საფრანგეთი განაახლებს სავაჭრო ურთიერთობას საბჭოთა ქვეყნებთან.

ასეთსავე სურათს ვხედავთ თითქმის ყველა ევროპა-ამერიკის სახელმწიფოებში, კაპიტალისტურ სახელმწიფოს საქმიანი წრეები დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა ქვეყნებთან მშვიდობიან ურთიერთობის განახლება აუცილებელია. საბჭოთა რესპუბლიკების დაუღალავმა და თავდადებულმა მუშაობამ დანგრეულ მეურნეობის, მრეწველობის და განადგურებულ ტრანსპორტის აღმშენებლობის საქმეში, ურწმუნო თომანიც კი დაარწმუნა, რომ საბჭოთა ქვეყნები წარმოადგენს ძალას, რომლის გვერდის ავლა არ შეიძლება; იმედი საბჭოთა ძალა-უფლების დამხობისა მათ დაკარგეს კარგი ხანია. საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელების რკინის ნებისყოფამ და ენერგიამ დაუმტკიცა მსოფლიოს, რომ საბჭოთა რესპუბლიკას შეუძლია ბრძოლა და გამარჯვება, ნგრევა და აღმშენებლობა. უკანასკნელ წლების ჩვენმა წინსვლამ სამეურნეო ფრონტზე, იძულებული გახადა ბურჟუაზიული მთავრობები უკუეგდოთ ძველი გზა ინტერვენციის და ბლოკადის, დაეწყოთ საქმიანი მოლაპარაკება და მშვიდობიან ურთიერთობის ჩამოგდება საბჭოთა რესპუბლიკებთან.

ძველი მტრები საბჭოთა ხელისუფლების დღეს მასთან მორიგებას და ვაჭრობას აპირებენ. თვით პუანკარეს საფრანგეთიც კი, რომელიც დღესაც მოსისხლე მტერია საბჭოების, გზავნის წარმომადგენლებს საბჭოთა რესპუბლიკებში და სხვა და სხვა ხელშეკრულებებს დებს. ამ დღეებში დადებული იქნა ღირსშესანიშნავი ხელშეკრულება ინგლისის ერთ ფირმასთან და საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატთან. ასეთივე ხელშეკრულებები დაიდვა ნორვეგია, დანია, შვეცია და სხვა მრავალ სახელმწიფოებთან.

ყოველივე ეს ნიშანია საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სიძლიერის, მისი მტკიცე საფუძვლის და მომავლის. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი უძლეველია. საბჭოთა რეს. კავშირმა შესძლო სამხედრო ფრონტებზე გამარჯვება, ის შესძლებს სამეურნეო ფრონტზედაც ბრწყინვალე გამარჯვებას. ამის ნიშნები უკვე არის.

საბჭოთა რესპუბლიკების განმტკიცება—მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვების თავდებია.

## ჩეკისა

### კონტრ-რევოლიუციის თვით დაშლა და ჩეკა.

საბჭოთა ხელისუფლებას ამიერკავკასიაში ჰყავდა შეურიგებელი ძლიერი მტრები ქართველ მენშევიკების, აზერბეიჯანელ მუსავატისტების და სომხეთის დაშნაკელების სახით. ეს პარტიები დიდ ხანს ბატონობდენ ამიერ-კავკასიაში; მათი ბატონობის დამხობის შემდეგ ისინი შეუდგენ ფარულ ორგანიზაციების მოწყობას და დაიწყეს ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების ერთგული დამცველი, ბურჟუა-მემამულეების კონტრ-რევოლიუციონურ თავდასხმისაგან, იყო და არის საგანგებო კომისია (ჩეკა). საგ. კომისია რისხვად ევლინებოდა რევოლიუციას, მშრომელ ხალხის მტრებს; ჩეკა ზიზღს და აღშფოთებას იწვევდა კონტრ-რევოლიუციონერებში, სამაგიეროთ ის სათაყვანებელი იყო მშრომელ ხალხისათვის.

ჩეკას მოღვაწეობას წარსულში და აწმყოში ეხება გაზ. „ზარია ვოსტოკა.“ გაზეთი აღნიშნავს ჩეკას როლს კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში და მის მომავალ მოქმედებას კონტრ-რევოლიუციის ლიკვიდაციის შემდეგ.

„ქართველ მენშევიკების, მუსავატისტების და დაშნაკების თვით ლიკვიდაციით დაიმსხვრა ამიერკავკასიის კონტრ-რევოლიუციის ხერხემალი.

„მშრომელთა მონაპოვარის დაცვა და სისხლის მსმელ მტრებთან გამკლავება დაევალა საგანგებო კომისიას. ის გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს კონტრ-რევ. მოქმედებას და ძირშივე კლავდა მათ შავ ზრახვებს.“

დღეს მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. კონტრ-რევოლიუცია განადგურებულია. მაშასადამე საგ. კომ. მუშაობაც ამ მხრივ გათავებულია.

„საგანგებო კომისია არ წარმოადგენს პროლეტარულ რევოლიუციის ყველა სტადიებისთვის აუცილებელ ორგანოს. საგ. კომისიის მოქმედების შინაარსი გამორკვლება იმის მიხედვით, რა რამდენად დამარცხებულია საბჭოთა ხელისუფლების მტრები.

რამდენათ ძლიერია კონტრ-რევოლიუცია, იმდენათ დიდია საგ. კომ. მოქმედების სარბიელი. მაგრამ თუ კონტრ-რევოლიუცია სუსტდება და იარაღს ყრის, დიქტატურის რეჟიმი ლმობიერი ხდება.“

რუსეთში უკვე კარგა ხანია რაც საგანგებო კომისიის მაგივრად სახელმწიფოს პოლიტიკური სამმართველო არსებობს, ვინაიდან რუსეთში მოქმედი კონტრ-რევოლიუციონური პარტიები დაიშალენ. ასეთივე მდგომარეობაა ამიერ-კავკასიაშიც; კონტრ-რევოლიუციის ლიკვიდაცია გამოიწვევს საგ.-კომისიის რეორგანიზაციას.

## ცნობები

— იაპონიაში მოხდა უსაშინელესი მიწის ძვრა, ტოკიო და მთელი რიგი ქალაქებისა დღესაც ცეცხლის ალშია გახვეული, დაღუპულთა რიცხვი მილიონებს აღწევს.

— იტალია-საბერძნეთის კონფლიქტის გამწვავება გრძელდება.

— რუმინიიდან აძევებენ რუს ლტოლვილებს.

— ირლანდიის პარლამენტების არჩევნები გრძელდება.

— ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იცნო მექსიკის მთავრობა.

— ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე მოსკოვში ბრწყინვალედ ჩატარდა.

— გერმანიის სახალხო მეურნეობის მინისტრის რაუმერის პროგრამას სოციალ-დემოკრატმა რიზელმა დაარქვა „ბურჟუაზიის უსაზღვრო ბატონობის პროგრამა“.

## საშინელი მიწის ძვრა იაპონიაში.

1-ლ სექტემბერს საღამოს იაპონიაში მოხდა საშინელი მიწის ძვრა. ტოკიო გახვეულია ცეცხლში. იმპერატორის სასახლე [დ]აიწვა. ტოკიოში რადიო არ მუშაობს. იოკოგამა და ატაგომო დანგრეულია და განადგურებული ცეცხლისაგან. მიწის ძვრამ დააზიანა [ზ]ღვისპირა რაიონი. დაიღუპენ ასიათასობით ხალხი—სერიოზულად დაზიანებულია ოსაკა და კობე. მთელი რიგი ქალაქებისა ცეცხლშია.

**ტოკიოში გამოცხადდა სამხედრო წესები.**

ქალაქის უმეტესი ნაწილი დანგრეულია. არსენალის საწყობები აფეთქდენ. მატარებლები გადავარდენ ლიანდაგიდან, რამაც გამოიწვია მრავალი მსხვერპლი, ქუჩაში ისმის შემაძრწუნებელი კვნესა და წივილ-კივილი. იოკოგამა იქცა ნაცარ-ტუტად. დაიწყო ძარცვა-გლეჯა. იმპერატორი და იმპერატრიცა, რომელნიც იმყოფებოდენ ტოკიოდან მოშორებით გადარჩენ ცოცხალი. ტოკიოში ცეცხლი ისევ მძვინვარებს.

**იაპონიის ვალიუტის დაცემა.**

იაპონიაში მიწის ძვრის გამო ხარბინში იაპონიის ვალიუტა სისწრაფით ეცემა.

**უბედურება აუწერელია.**

მიწისძვრისაგან განადგურებულია ქალაქები: ტოკიო, იოკოგამა, ხამამაცუ, ნაგაია, ოხავანა, კოსაუ, გოტამბა და მრავალი სხვა.

ტოკიო იწვის. დანგრეულია გზები და საკავშირო საშუალებები. დანგრეულია: წყალსადენი, სასახლე, თეატრი, პოლიცია, უნივერსიტეტი, სამინისტროები, საარტილერიო ქარხანა, დენთის საწყობები და გაზეთების რედაქციები. სულ დანგრეულია 20.000 შენობა. წინასწარი გამოანგარიშებით დაღუპულია 300 ათასი კაცი, ქალაქი მოწყვეტილია. შესაძლებელია მხოლოდ საზღვაო კავშირი. მდინარე სუმიდა-გავა მიწის ძვრით გამოცხადებულია სამხედრო წესები. ჯარები ვერაფერს ხდებიან ცეცხლის წინააღმდეგ. ცეცხლი მოსჩანს ორასი ვერსის სიშორიდან. ამოხეთქა და დედამიწის რყევა გრძელდება. მიწის ძვრის ცენტრი არის მთა ასაკი, ფუძეის ვულკანიური რგოლიდან.

**2. მილიონი მსხვერპლი.**

იოკოგამა დაიღუპა სავსებით. კურორტი ხანანა დაფარულია მიწით. დაზიანებულ რაიონებში არ მოიპოვება საკვები სანოვაგე. მოეწყო დამხმარე ორგანიზაციები და გაგზავნილია ამერიკის ფლოტის გემები.

ტელეგრაფის სააგენტოების ცნობებით დაღუპულია ორი მილ. კაცადე. მთავრობას რა ბედი ეწია გამოურკვეველია. ტოკიოდან 40 ვერსტით მოშორებით მოქმედობს ვულკანი. ხარბინში ცნობები მოდის ოსაკადან. მიკადოს ბედი გამოურკვეველი რჩება.

## საბერძნეთ-იტალიის კონფლიქტი.

**გემთა მიმოსვლა შეწყვეტილია.**

იტალიასა და საბერძნეთს შორის გემთა მიმოსვლა შეწყვეტილია. კორფუს სრუტეში იტალიის წყალქვეშა ნავმა დაიჭირა საბერძნეთის გემი.

**კორფუს გუბერნატორი.**

იტალიის ფლოტის ადმირალი სიმონიტი დაინიშნა კორფუს გუბერნატორად. იტალიის პრესა უარყოფს ცნობებს კუნძულ სამოსის და კრიტის დაკავების შესახებ.

**5.000 იტალიის ჯარის კაცი კორფუზე.**

უკანასკნელი ცნობებით კუნძულ კორფუზე გადმოსხმულია 5.000 იტალიელი ჯარის კაცი საბერძნეთის გარნიზონმა დაიხია. ქალაქის პრეფექტი და 10 საბერძნეთის ოფიცერი იტალიელებმა წაიყვანეს ტყვედ. ბომბარდიროვკის დროს დაზიანდა 30 კაცზე მეტი.

**ბრძანება სამხედრო გემებისადმი.**

იტალიის პრესა სთვლის საბერძნეთის მთავრობას პასუხისმგებლად იტალიის სამხედრო მისიის მკვლელობის გამო. ტარანტოში მდგომმა იტალიის სამხედრო გემებმა მიიღეს ბრძანება მზად იყონ საბერძნეთის წინააღმდეგ საზღვაო დემონსტრაციისათვის.

**ჩქარობენ ისარგებლონ მდგომარეობით.**

ოფიციალური გაზეთი „ტრიბუნა“ სწერს, რომ პარალელურად სამხედრო ოკუპაციისა, იტალია თავის თავზე აიღებს კორფუს ადმინისტრატიულ მართველობასაც და უწინარეს ყოვლისა საბაჟოების მართველობას.

**ერთა ლიგა არ ჩქარობს.**

ერთა ლიგის საბჭომ გადასდო იტალია-საბერძნეთის კონფლიქტის საკითხი რამდენიმე ხნით, გამოსთქვა რა იმედი, რომ ორთავე მხარე ამ ხნის განმავლობაში თავს შეიკავებს ისეთი გამოსვლებისაგან, რომელნიც გაამწვავებენ მდგომარეობას.

**ევროპის ვალიუტის დაცემა.**

ნიუ-იორკის ბირჟაზე ეცემა ევროპის ვალიუტა რასაც მიაწერენ იტალია-საბერძნეთის ომის შესახებ გავრცელებულ ხმებს.

**თანაგრძნობის დეპეშა.**

საფრანგეთის მთავრობამ გაუგზავნა იაპონიის მთავრობას დეპეშა, რომელშიც გამოსთქვამს მწუხარებას იმ კატასტროფის გამო, რომელიც თავს დაატყდა იაპონიას.

**მწუხარების მონაწილეობის აქტიური გამოხატვა.**

საგარეო საქმეთა კომისარმა ამხ. ჩიჩერინმა გაგზავნა ს. ს. რ. კ. სახელით დეპეშა, რომელშიაც უცხადებს თანაგრძნობას იაპონიის ხალხს და მთავრობას საშინელი კატასტროფის გამო, რომელმაც გაანადგურა იაპონიის ხალხის მრავალი წლის შრომის ნაყოფი. ვლადივოსტოკში გაცემულია განკარგულება გაეწიოს დახმარება მიწის ძვრისაგან დაზარალებულ იაპონიის მოქალაქეებს.

# გერმანიის ამბები.

**მთავრობის უძლურება.**

მარკის კურსის კატასტროფიული დაცემა გრძელდება.

დოლარი უკვე 12 მილ. მარკა ღირს. პრესა აღნიშნავს მთავრობის უძლურებას—აიძულოს კაპიტალისტები გაანაღდონ კაპიტალების ნაწილი ხარჯების გადასახდელად და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მთავრობამ არ მიიღო ზომები კონტროლის დასაწესებლად ლირებულებათა შესყიდვაზე იმ დროს, როდესაც ოკუპაცია-ქმნილ ოლქებში კაპიტალისტები ყიდულობენ მთელ ვალიუტას, რისთვისაც ისინი სარგებლობენ სესხით რეიხსბანკიდან, რაც სცემს მარკის კურსს.

ფინანსისტების ორგანო „ბერლინერ კურიერი“ აღნიშნავს, ხელმძღვანელ წრეების უძლურებას შექმნილ მდგომარეობიდან გამოსვლის საქმეში.

**სრული სასოწარკვეთილების აქტი.**

ბერლინ. პოლიციამ ბრძანება გასცა კომუნ. პარტიის საოლქო კომიტეტის ყველა წევრების დატუსაღების შესახებ, გარდა რეიხსტაგის დეპუტატებისა.

„როტე ფანე“ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მეთაურების დატუსაღება ერთი წუთითაც ვერ შეაფერხებს იმ ორგანიზაციების მუშაობას, რომელთაც 40.000 წევრი ჰყავთ.

მემარჯვენე პრესაც კი, მთავრობის გამოსვლას კომუნისტების წინააღმდეგ, სთვლის დამარცხებულ სოციალ-დემოკრატიისა და პროფკავშირების დემოკრატიის სასოწარკვეთილების აქტათ.

შესდგა 8 მასიური კრება კომუნისტების დევნის წინააღმდეგ.

**მზადება კაპიტულიაციისათვის.**

გერმანიის მთავრობის უკანასკნელ საფინანსო ზომებს ხსნიან, როგორც საფრანგეთის წინაში კაპიტულიაციის სამზადისს, რადგან ფინანსების მოწესრიგება რურის ბრძოლის შეუწყვეტლათ შეუძლებლათ არის ცნობილი. ცდილობს რა გამოვიდეს მოჯადოვებულ წრიდან, მთავრობა ადიდებს გადასახადებს, ავიწროებს მუშებს, ცდილობს ხელი შეუწყოს საქონლის გატანას და შეამციროს შემოტანა. მაგრამ საეჭვოა,—შესძლებს თუ არა შტრეზემანის მთავრობა ბოლომდე მიიყვანოს თავისი გეგმა, რადგან ამას წინ ელობება მრავალი დაბრკოლება შინ და საზღვარ-გარეთ.

**კომუნისტების დევნა.**

ბრემენში დაპატიმრებულია კომპარტიის მდივანი კენიგი. მანჰეიმში და კარლსრუეში გაჩხრეკილი იყო პარტიული ბიუროს შენობა.

# ახლო აღმოსავლეთში.

## ოსმალეთი.

**ბრძოლა სპეკულიაციის წინააღმდეგ.**

სტამბოლის გაზეთები იუწყებიან, რომ ოსმალეთის დიდი ეროვნული საბჭოს ეკონომიური კომისია საჩქაროდ იხილავს კანონპროექტს სპეკულიაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

**სტამბოლის ევაკუაცია.**

სტამბოლის გაზეთები იუწყებიან, რომ მოკავშირეთა ჯარების ევაკუაცია სწრაფათ სწარმოებს.

უპირველეს ყოვლისა, დაცალეს მოკავშირეთა საჭიროებისათვის დაკავებული კერძო სახლები. მოკავშირეთა მილიციის ერთი ნაწილი უკვე გავიდა სტამბოლის მიდამოებიდან.

# სხვა და სხვა ამბები.

## პოლონეთი.

**პოლონეთის ოფიციალური გაზეთი საფრანგეთის სუბსიდიას ღებულობს.**

გაზეთი „ოპოზიციის ხმა“ აცხადებს, რომ ოფიციოზური „გაზეთი ვარშავა“ საფრანგეთის მთავრობისგან ღებულობს 15,000 ფრანკს ყოველთვიურ სუბსიდიას.

„ოპოზიციის ხმა“ აღნიშნავს, რომ ეს გარემოება გამოწვეულია იმის მეოხებით, რომ გარეშე საქმეთა მინისტრი—სეიდა არის საფრანგეთის წვრილი აგენტი.

## რუმინია.

**ახალი ბრძანება.**

ბესარაბიის გენერალ-გუბერნატორმა—პოპოვიჩმა გასცა ბრძანება—ყველა რუსი ლტოლვილების ბესარაბიიდან გაძევების შესახებ.

## უნგრეთი და იტალია.

**პრინციპიალური შეთანხმება მოხდა.**

უნგრეთის პრესა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ უნგრეთსა და იტალიას შორის მოხდა პრინციპიალური შეთანხმება უნგრეთის სესხის შესახებ.

## ბულგარეთი.

**დასკალოვის მკვლელობა წინასწარ მომზადებული იყო.**

სამხრეთ-სლავიის პრესის ცნობით დასკალოვის მკვლელობა წინასწარ მომზადებული იყო მაკედონიის ორგანიზაციის მიერ სოფიაში, საიდანაც მკვლელმა მიიღო მოწმობები და ფული.

## ირლანდია.

**არჩევნების შედეგი.**

ჯერ-ჯერობით არჩევნების შედეგი შემდეგია:

41 ადგილი დაიჭირეს მთავრობის მომხრეებმა, 28—რესპუბლიკანელებმა, 14—დამოუკიდებლებმა, 9—მუშათა პარტიამ.

ამორჩეულია ყველა მინისტრები და მათ შორის მუშათა პარტიის ლიდერი ჯონსონი. ამოსარჩევია 53 დეპუტატი.

**რესპუბლიკანელების გამარჯვება.**

არჩევნების გამო „დეილი ტელეგრაფი“ უკმაყოფილოდ აღნიშნავს, რესპუბლიკანელების რიცხვის ზრდას.

იმ გარემოებას, რომ არჩევნებში ვერ გაიმარჯვა ირლანდიის მუშათა პარტიამ, ლიდერები ხსნიან ბურჟუაზიული პარტიების კარგი ორგანიზაციით.

## იაპონია.

**იაპონიის ახალი კაბინეტი.**

ახალი კაბინეტის შედგენა დაევალა ადმირალ იამამოტოს, რომელიც არის უკიდურესი მილიტარისტი. იამამოტოს პრემიერად არჩევა ნიშნავს საზღვაო შეიარაღების მომხრეთა გამარჯვებას ხმელეთის შეიარაღების მომხრეებზე, რომლებიც ცდილობდენ გამაგრებას ჩინეთში, რაც ჩაიშალა „ვაშინგტონის კონფერენციის გადაწყვეტილების და იამაგატო-ოკუმის გარდაცვალების გამო.

## ამერიკა.

**მექსიკის მთავრობის ცნობა.**

გამოქვეყნებულია შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალური განცხადება მექსიკის მთავრობის ცნობის და ორთავე სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის განახლების შესახებ.

## ბულგარეთი.

**ბულგარეთის კომპარტიის მოწოდება.**

მოწოდებაში, რომელიც მიმართულია მაკედონიის მუშებისა და გლეხებისადმი, ბულგარეთის კომპარტია იტყობინება, რომ თეთრ ტერორს მოჰყვა შედეგათ კომუნ. პრესის ჩაღრჩობა.

მოწოდება მოუხმობს მუშებსა და გლეხებს მედროთ გაერთიანდნენ კომპარტიასთან, რომელსაც მხოლოდ ერთს შეუძლია მოუპოვოს მაკედონიას ავტონომია.

---

# ცოტა რამ

## ,,ასეულის ახალ ორგანიზაციის“ შესახებ *).

„წითელი არმიელის“ № 352 მოთავსებულია ამხ. ლევან გარსიაშვილის წერილი: „მიზეზი ახალი ორგანიზაციის შემოღებისა“. ხსენებული წერილი საყურადღებოა და მე შევეცდები ცოტა რამ დავსძინო ავტორის ნათქვამს.

წერილი ერთის მხრივ საყურადღებოა იმით, რომ ეს არის ჩვენი დივიზიის პატარა ორგანოს—„წითელი არმიელის“ სამხედრო ლიტერატურისათვის გამოყენების ცდის ნიმუში, რითაც საშუალება გვეძლევა ჩვენი აზრი გამოვსთქვათ გაზეთის ფურცლებზე—დღევანდელი სამხედრო ხელოვნების შესახებ, რათა ამით ხელი შევუწყოთ სამხედრო ლიტერატურის შექმნის საქმეს, რომლითაც ძალიან ღარიბნი ვართ.

საყურადღებოა მეორე მხრივ გარსიაშვილის ხსენებული წერილი მისი შინაარსით, დედა აზრით, იმდენათ, რამდენათაც ის უპასუხებს დასმულ საკითხს.

როგორც წერილის სათაური გვიჩვენებს, ავტორს მიზნათ დაუსახავს—გამოიკვლიოს ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს ჯარში „ახალი ორგანიზაციის“ შექმნა, რაც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში უკვე გატარებულია, ხოლო ჩვენში კი, ეხლა სწარმოებს მუშაობა მის ცხოვრებაში გასატარებლათ.

ავტორის სიტყვით, ამ ახალმა ორგანიზაციამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, მასზე ბევრი მსჯელობს—როგორც ჯარში, ისე სამხედრო ჟურნალებში, მას ბევრი მტერ-მოყვარე ჰყავს.

ჩემის აზრით, აქ მკითხველს აუცილებლად დაებადება კითხვა: რაში გამოიხატება ეს ახალი ორგანიზაცია? რა არის მისი შინაარსი? რა მიზეზებს ეძებს ავტორი?

ჩემი შეხედულებით, აქ საჭირო იყო მეტი ყურადღება თვით „ახალი ორგანიზაციისადმი“, მისი ახსნაგანმარტება, მისი თვისებების შესწავლა და, შემდეგში კი, მისი მიზეზების გამორკვევა, რომ გაუგებრობას არ ჰქონოდა ადგილი. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს წერილი ცალმხრივია.

მიზეზების გამორკვევამდე საჭიროა თვით „ახალი ორგანიზაციის“ თვისებების შესწავლა, ვინაიდან, ჩემის აზრით—თვით მის თვისებებში არის ჩაქსოვილი მიზეზები და ამას ბოლოს დავინახავთ.

ავტორს „ახალი ორგანიზაციის“ მთავარ მიზეზათ მიაჩნია დღევანდელი ჯარის ორ ნაწილათ გაყოფა—იარაღის მიხედვით, მე ამაში ავტორს სრულიათ არ ვეთანხმები. ჯერ ერთი—რაში გამოიხატება ეს ჯარის ორ ნაწილათ გაყოფა იარაღის მიხედვით?

ავტორს მოჰყავს ისტორიული მაგალითები, რომ ჯარი წინადაც იყო გაყოფილი. ზოგს ჰქონდა სასროლი იარაღი და ზოგსაც—საკვეთი, ვარგი და პატრონსანი. მაგრამ საკითხი აქ ასე ისმის: როგორ ესმის თვით ავტორს „ჯარის დაყოფა“? თუ მას მხედველობაში ჰყავს მხოლოდ ქვეითი ჯარი და ამბობს, რომ ქვეითა ჯარში ზოგი შაშხანა თოფით არის შეიარაღებული და ზოგი კი ტყვია-მფრქვევლებით, რომელიც საკვეთ თვისებას მოკლებულია, მაშინ—ვეკითხები ავტორს: ამ ორ ნაწილში, რომელს უნდა მივაკუთვნოთ ის წითელი არმიელი, რომელიც საკავშირო გუნდში მსახურობს და მისი დანიშნულება არც კვეთებაა და არც სროლა. ან კიდევ: რომელ ნაწილს ეკუთვნის გზებზე მომუშავე წითელ არმიელი? და ბოლოს, რომელ ნაწილს ეკუთვნის ის წითელ არმიელი, რომელიც სამხაზიანი შაშხანა თოფით არის შეიარაღებული და რომელსაც, როგორც სროლა, ისე კვეთებაც შეუძლიან?

თუ ავტორს მხედველობაში აქვს—საზოგადოთ მთელი ჯარი, მაშინაც კითხვა იბადება: რომელ ნაწილს ეკუთვნის ჰაეროპლანებზე მომუშავენი, წყალ-ქვეშა ნავები, და ცხენოსანი ჯარი, რომელიც შეიარაღებულია როგორც სასროლი იარაღით, ისე საკვეთით.

მე კი ვამბობ, რომ პირიქით, დღევანდელი სამხედრო ხელოვნება ჯარის დანაწილებისაკენ კი არ მიისწრაფვის, არამედ მათ გაერთიანებისაკენ.

დღევანდელი სამხედრო ხელოვნება ცდილობს ყოველ ერთეულს მისცეს სხვა და სხვა თვისების იარაღი.

ამის მაგალითი ქვეითა ლეგიონებში, ცხენოსან მზვერავების, გაზების, და არტილერიის შემოღებაა.

მაშასადამე მე აღვნიშნავ რომ ჯარის დაყოფა ორ ნაწილათ შეუძლებელია, ვინაიდან არის ასეთი ჯარის ნაწილი, რომელიც არც ერთ ნაწილს არ მიეკუთვნება.

გამოვდივარ რა ამ მოსაზრებიდან აღვნიშნავ, რომ არც ის არის მართალი, რომ ვითომ ჯარის ორ ნაწილათ გაყოფამ გამოიწვია „ახალი ორგანიზაციის შემოღება“.

თუ ეს ასე იქნებოდა, მაშინ ეს ახალი ორგანიზაცია ამდენხანს უნდა შემოღებულიყო, ვინაიდან მიზეზს უშუალოთ უნდა მოჰყოლოდა შედეგიც, მაგრამ ეს არ მოხდა.

განა იაპონიის ომში არ იყო შემოღებული ის ტყვიამფრქვევლები, რომლებზედაც ჩვენი ავტორი მიგვითითებს? და რომლებიც მოკლებულია საკვეთ თვისებას? მაგრამ მე ვამბობ, რომ ეს ასე არ მოხდა და არ მოხდა იმიტომ, რომ ჯარის ორ ნაწილათ გაყოფა არ არის მიზეზი ახალი ორგანიზაციის შემოღებისა.

მიზეზი სულ სხვაა. მიზეზი არის საზოგადოთ „სამხედრო ტეხნიკის განვითარება და მისი შედეგი ცეცხლი“. სამხედრო ტეხნიკის განვითარებამ შეჰქმნა ისეთი პირობები, რომ საჭირო იყო ჯარისთვის ისეთი ორგანიზაცია, როდესაც ჯარის ნაწილს შეძლება ექნებოდა ცეცხლი გაეძლიერებია უკიდურესათ და თვით კი მტრის ცეცხლისაგან დაცული ყოფილიყო.

აი ასეთ ორგანიზაციათ მიჩნეულია ამ ჟამათ „ახალი ორგანიზაცია“, რომელსაც „ცეცხლის“ ასეულებს ეძახიან.

აი ამიტომ აღვნიშნე თავიდანვე, რომ ახალი ორგანიზაციის მიზეზების გამოსარკვევათ საჭიროა მისი თვისებების გადახილვა მეთქი.

ახალი ორგანიზაციის „ცეცხლის ასეულების“ აუცილებელ თვისებათ—მისი ძლიერი ცეცხლი და მტრის ცეცხლის არიდების უნარი უნდა ჩაითვალოს.

მე ვფიქრობ, რომ ავტორი კარგს იზამდა თავიდანავე რომ გაეცნო ახალი ორგანიზაციის შინაარსი და მისი თვისებები მკითხველისათვის, რითაც ნათელი იქნებოდა მისი გამომწვევი მიზეზებიც:

„ახალი ორგანიზაციის შემოღების უმთავრეს მიზეზათ უნდა ჩაითვალოს არა ჯარის ორ ნაწილათ გაყოფა იარაღის მიხედვით, არამედ, საერთოდ სამხედრო ტეხნიკის განვითარება და მისგან გამომდინარებული ძლიერი ცეცხლი, და საზოგადოთ ადამიანის განმანადგურებელი საშუალება.

**მ. გობრონიძე.**

*) ეს წერილი სადისკუსიოა.

**რედაქცია.**




## სალამი პირველ ლეგიონის არწივებს.

მასწავლებლის დავალებით მქონდა შემთხვევა 1-ლ ლეგიონის საკავშირო გუნდის არმიელებისათვის გაკვეთილი მიმეცა. საალამოთი ლეგიონში გამოვცხადდი ლეგიონის კომენდანტმა პოლიტხელის საშუალებით მოგვცა ორმოცდა ორი კაცი: ოცდა ერთი მე წამოვიყვანე დაოცდა ერთიც ამხანაგმა მასწავლებელმა. დავიწყეთ მეცადინეობა სამოსწავლო ოთახში. საკომენდანტო გუნდის წ. არმიელებმა, რომლებსაც არ არის დიდი ხანი რაც წერა-კითხვა დაუწყიათ, დღეს განცვიფრებაში მომიყვანა მათმა ბეჯითობამ. წ. არმიელები კითხულობენ გაკვეთილებს გარკვეულად და მკაფიოდ. ალბათ მათი მასწავლებელი მუყაითობს, რომ წერა-კითხვის ლიკვიდაცია კარგათ ჩატარდეს. საკომენდანტო გუნდის წითელ არმიელთა შორის აღსანიშნავია კიდევ ის, რომ არმიელებს ბეჯითად შეუსწავლიათ ანგარიში ოთხი მოქმედება. აგრეთვე ის არმიელები ვინც ყოფილან მანგლისში და მუშაობდენ ტყეში და მთელი თვე ნახევარი თვალით არ უნახავთ არც სკოლა და არც მასწავლებელი, მაინც არ გაუშვიათ წიგნი ხელიდან და შედარებით სხვა არმიელებთან ტყეში მყოფი არმიელები გაკვეთილს საუცხოვოთ კითხულობდენ. ალბათ გამოცდების დროს გამოვლენ 1-ლ ლეგიონის არწივები გამარჯვებულნი და არ შეარცხვენენ მასწავლებელს.

მე წერილს ვამთავრებ და ვამბობ: გაუმარჯოს 1-ლ ლეგიონს და ლეგიონის არწივებს, ძირს წერა-კითხვის უცოდინარობა — გაუმარჯოს შეგნებას.

**დ. ხ. მ—აძე.**

## აბანაკება.

შემოდგომა გადმოდგა მთებზე...

სურამის სამხედრო ბანაკი აიშალა... და მიდიან საზამთროდ სადგომ ქალაქებისაკენ, რათა კვლავ აახმაურონ დროებით მიტოვებული წითელი ყაზარმები...

ზაფხულის განმავლობაში გამხიარულებული სურამი დღეს 31 აგვისტოს ჩამონისლულა, ქინქლავს, თითქოს თვალ-აცრემლებული სატრფო ისტუმრებს ბრძოლის ველზე თავის გულის საყვარელსო... ცარიელდება აქაურობა და შთება სურამი დაქვრივებული... ციხე უფრო ჩაფიქრებულა ლეგენდარული შუბლით.

საღამოა, უკანასკნელი დღე აგვისტოსი... დღეს ქართველი კურსანტები სტოვებენ სურამს... ისე შეაყვარეს სურამელებს თავი, რომ ყველას გული სწყდება მათი წასვლით..

მთავარი ქუჩა. ლამაზი და ამაყი სახეებით მოდიან სადგურისაკენ რკინის გუნდები.

მუსიკა აგუგუნებს ქალაქს. მწყობრი ფეხით, ცეცხლ მოკიდებულ დროშის ელვაში სტოვებენ საზაფხულო ბანაკს. მცხოვრებლების ტაშში გაისმის სიცოცხლით სავსე სიმღერა კურსანტებისა.

უკანასკნელად ემშვიდობებიან სურამის ციხეს და გაისმის:

„სურამისა ციხეო
სურვილითა გნახეო..“

და მხიარულ ყიჟინით სხდებიან მატარებელში, ორთქლმავალი ჰკივის და მიჰქრის თბილისისაკენ...

**...ზმან...**

# პარტიული ცხოვრება

**2-რე ლეგიონის ცხოვრებიდან.**

ა. წ. 19 აგვისტოს შესდგა მე-2—ე ლეგიონის საერთო პარტიული კრება.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები:

1) მენშევიზმის გახრწნა საქართველოში.

2) საჰაერო ფლოტის საზოგადოების წევრებათ ჩაწერა.

1. საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ცაგარეიშვილმა.

ის ვრცლად შეეხო მენშევიკური პარტიის გახრწნის, გამომწვევ მიზეზებს და აღნიშნა, რომ ის პარტია რომელიც გადაუხვევს მუშათა კლასის დაცვის გზას აუცილებლად უნდა დასამარდეს.

მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები რომელიც მომხსენებელმა დააკმაყოფილა. აგრეთვე ამ საკითხზე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ელიაშვილმა და სხვებმა რის შემდეგ იქნა გამოტანილი რეზოლიუცია:

„მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ცაგარეიშვილის მენშევიზმის გახრწნის შესახებ,

ჩვენ 2-რე ლეგიონის ყველა კომპარტიის წევრები და კანდიდატები, ვეგებებით აღფრთოვანებით იმ მუშებს და გლეხებს რომლებიც დარწმუნდენ მენშევიკური პარტიის ოპორტიუნიზმში და ხედავენ მუშათა კლასის ხსნას კომპარტიაში.

2. საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ელიაშვილი, რომელიც მოკლეთ ჩერდება საჰაერო ფლოტის წევრებად ჩაწერის მნიშვნელობაზე, და მოუწოდებს ამხანაგებს რათა ყველამ ჩაეწეროს საჰაერო ფლოტის წევრებად.

კრება მოხსენებას აღფრთოვანებით შეეგება და გამოსთქვა სურვილი წევრებათ ჩაწერის.

რის შემდეგ კრება დაიხურა.

პარტკორი: **ა. გუჯაბიძე.**

# პატარა ფელეტონი

## ბეჭვის ხიდი.

**„ავლაბრის აღმართზედ“**

— გოჩმან, ტრამვაით წავიდეთ, თორემ ავლაბრის აღმართზედ, შენ გულის სიგანივრე მოგივა და წაპარჭიკდები,—მარიგებდა ბეშტია, როცა მე და ის თავისუფლების მოედანზედ ვიდექით და სამოსწავლო ათასეულისაკენ ვაპირებდით წასვლას.

— ეხლა ბლომად ხალხია, ჩაჯდომას ვერ მოვახერხებთ და ისევ სჯობიან ავლაბრიდან მომავალ რონადში, მუხრანის ხიდთან ჩავსხდეთ და ისე მივფრინდეთ!

მეც დაუჯერე ბეშტიას და თავისუფლების მოედნიდან — მუხრანის ხიდთან ფეხით მივედით.

— აი, თორმეტი ნომერი! შევსხდეთ გოჩმან,—მითხრა ბეშტიამ, როცა ჩვენ ბედზე აღმართიდან ჩამოსრიალდა რონადი.

— აბა, ჩქარა მოძუნძულდი გოჩმან!—მიძახდა ბეშტია რონადიდან, მაგრამ რონადი ასე იყო გატენილი ხალხით, როგორც თევზები ბოჭკაში და დავრჩით უალაგოთ. ბეშტია უკან გადმოხტა.

— სულ ერთია, ეს რონადი აქ მოვა თავისუფლების მოედნიდან და გული რაზედ გავიტეხოთ ჩემო გოჩმან, მაშინ შეუსხდეთ, —მამშვიდებდა ბეშტია.

ტრამვაის მოლოდინში გავჩერდით ხიდზედ და ტკბილად მოდუდუნე, მღვრიე მტკვარს უგდებდით ყურს.

„წარველ მტკვრის პირას, მოლოდინში რონადთ მოსვლამდე,
მუხრანის ხიდთან, ქვაფენილზედ,
ნეხვთა გროვაში.
აქეთ ნაპირზედ ვირით მოაქვს ბაყალსა კიტრი,
მეორე მხარეს, ბურჟუას ხვნეშით
გასდისა ხვითქი.
ვინ იცის მტკვარო, რას ბურტყუნებ, ვის როგორ სჭორავ?
მრავალ ფაქტების მოწამე ხარ, მაგრამ არ ჰროშავ!“

მოაგონდა ბეშტიას უკვდავ ბარათაშვილის ლექსი და თავისებურად ასხვაფერებდა.

— არიქა, ბიჭო! მოდის ჩვენი რონადი!

ჩვენ გავემზადეთ შესახტომად, მაგრამ ესეც პირველივით სავსე იყო და ჩვენ კვლავ დავრჩით.

— არა უშავს რა გოჩმან!—გულს არ იტეხდა ბეშტია. ჩვენ, რომ აღმართზედ ავიდეთ და იქიდან თავისუფლების მოედანთან მივიდეთ, მაშინ ალაგს ვერავინ წაგვართმევს.

ჩვენ დავადექით ამ აღმართს, ამ საშინელ სიცხეში, და დიდის ვაივაგლახით მივფორთხდებოდით მაღლა. ზოგჯერ დავიმუხრუჭებოდით და შევჩერდებოდით ხოლმე, რითაც სარგებლობდა ბეშტია, კლდიდან ჩამონადენი ნაკადულით გულს იგრილებდა და თვალებს ირეცხდა.

— გოჩმან! შენც მოიბანე ამ წყლით თვალები... წამალია...

ერთი საათის წვალების შემდეგ, მივაღწიეთ სამშვიდობოს. მძიმედ დაქანცულებმა და ოფლში გაწურულებმა შევისვენეთ ნაგვის ყუთთან და გადავხედეთ თფილისს.

— ჰარიქა შევსხდეთ! მერე, როგორ ცარიელი მიდის ქვევით ეს რონადი?!

ჩვენ მარდათ შევხტით ზედ, დავიკავეთ ცალკე ალაგები და ვიყიდეთ ორი ბილეთი. რონადში ორი —სამი კაცი იჯდა, მათ შორის ერთი წითელი-არმიელიც, რომელსაც საყელოზედ ბრჭყვიალა ნიშნები წიგნი და კალამი ეკერა.

— ამხანაგო! რომელ ნაწილიდან ხარ? შევეკითხე მე წითელ-არმიელს.

— სამოსწავლო ათასეულიდან ვარ.

— მერე, სადაა თქვენი ყაზარმები?

— აი, წეღან რომ იდექით, იქიდან ასი ნაბიჯი არ იქნება.

— ბეშტი! ჩვენ კიდეც მივსულვართ და რაზედ მივდივართ შუაგულ ქალაქში?!

— გადავხტეთ, გადავხტეთ! ჩქარა გოჩმან, თორემ აღმართის ძირში მოვხვდებით.

ვაჩქარებდით ერთმანეთს და ორივემ დავკარგეთ მიმართულებაზედ წარმოდგენა, ვისკუპეთ ორივემ რონადიდან და გასაკვირველი მოვლენა მოხდა აქ: იმის მაგიერად, რომ ფეხზედ დავმდგარიყავით, ფეხები გამოგვეცალა, ტანი მოგვეღუნა და შემდეგ დედამიწამ სწრაფად მიგვიზიდა რის გამო ბეშტიას შუბლზედ კოპი დააჯდა და მე კინკრიხოზედ. მე და ბეშტია წამოვხტით და დაბეგვილნი მტვერში ამოგანგლულნი, გავემართეთ ათასეულის ყაზარმისაკენ.

— ეჰ გოჩმან! „ვის მექანიკა არ ესმის, მას თავზედ კოპი დაესმის!“ მითხრა ნაღვლიანად ბეშტიამ.

**გოჩმანი.**



მოსწყინდათ ჩვენს პურის მცხობლებს
ჩვეულებრივ პურის ცხობა;
და დაიწყეს ცომში, მრავალ
ნაირ ნაირ „ფარშის“ წყობა.

სურთ, რომ წითელი-არმიელი
არა სჭამდეს უბრალო პურს;
შემდეგც მოგვაწვდიან ასეთს—
მათი დასჯა თუ არა გვსურს!

# სამხედრო საქმე

**სარეკვიზიციო სპათა წინააღმდეგ მოქმედება.**

როდესაც მტრის სარეკვიზიციო სპები დათარეშობენ სოფელში, თავდამსხმელმა უნდა ასწონ დასწონოს ყველა გარემოებანი და პირობანი და გადასწყვიტოს რა უფრო სასარგებლო იქნება მისთვის! 1) შეუტიოს დამფარ სპას, სოფლიდან გასადევნათ, თუ 2) შეეცადოს მიაღწიოს თვით სოფელს და იქ დაამარცხოს სარეკვიზიციო სპა, თუ 3) უკან მომავალ სპას ჩაუსაფრდეს.

თუ უფროსი, ყველა მოსაზრების აწონ-დაწონის შემდეგ, მიიღებს რა მხედველობაში საკუთარ სპის ძალას, მდებარეობის პირობებს და ანაზდეულ მოქმედების გავლენას, გადასწყვეტავს რომ მისთვის ბრძოლაში ჩაბმა გამარჯვებით დამთავრდება, მან უნდა სწრაფად იმოქმედოს. სარეკვიზიციოთ სოფელში შესული მტრის სპა აჩქარებს სურსათ-სანოვაგის და საქონლის საკვების შეგროვებას და სცდილობს დროს მოგებას, მაშასადამე ამ მხრივ მას უნდა ხელი შეეშალოს და დრო არ აცალონ.

თავდამსხმელი თავის ამოცანის ნაწილს შეასრულებს, როდესაც თავს დაესხმიან მოწინააღმდეგეს, მას აიძულებს დაიხიოს და დაიკავებს მის პოზიციას. მოწინააღმდეგე დახევის დროს შეეცდება თან გაიყოლიოს სანოვაგით დატვირთული ურმები, რაც არაფრით შემთხვევაში არ უნდა დაანებოს თავდამსხმელმა. ამ მიზნისათვის საჭიროა მტრის ენერგიული დევნა, რათა მასთან ერთად ერთ დროულად მიაღწიოს სოფელს და ამ გვარად აცილებული იქნება იერიშის წარმოება სოფლის სანახების წინააღმდეგ.

ხშირად თავდამსხმელს მოუხდება დაცდა იმ დრომდე, სანამ მტერი არ დაამთავრებს რეკვიზიციას.

ამის შემდეგ დატვირთულ საბარგულო რაზმეულს დააცდიან არა კეთილ-საიმედო მდებარეობაში შესვლას და, როდესაც იგი ივლის ტყეში, ან ხიდზედ შედგება, მაშინ თავს დაესხმიან მას.

თავდამსხმელი უნდა შეეცადოს მოწინააღმდეგის დამფარს შეებას ბრძოლაში, და თავის მთავარ ძალებით კი საბარგულოზედ მიიტანოს იერიში. საბარგულოზედ თავდასხმა, ყოველ შემთხვევაში, უფრო ადვილია და ნაკლები ზარალის მოტანა შეუძლია, ვიდრე პოზიციაზედ ჩამჯდარ სპის წინააღმდეგ იერიშის მიტანა.

**გ. ბ.**

## როგორ უნდა სწარმოებდეს ფიზიკური აღზრდა ჯარში.

ჯარის ცხოვრებაში სამს მთავარ დარგს უნდა ემსახურებოდეს მეცადინეობა და ეს სამი დარგი შეჰქმნის ჯარის კაცში ფოლადის მხედარს. პირველი—სამხედრო წრთვნა, მეორე ყოველი შემადგენელი ერთეულის გონებრივი წრის განვითარება და მესამე ფიზიკური აღზრდა. ფიზიკურ აღზრდას ჩვენი ჯარის ცხოვრებაში არ აქვს საკმაო ყურადღება მიქცეული. მისი მნიშვნელობა არა მხოლოდ უმცროს, არამედ უფროსთა შემადგენლობის ნაწილსაც ბუნდოვანად აქვს წარმოდგენილი. ამის გარკვევა აუცილებელია; დროა, რომ ქართულ წითელ ლაშქარში კარგ ნიადაგზე დადგეს ფიზიკური აღზრდის საქმე.

როგორ ყურადღებას აქცევენ სხვა ქვეყნების ჯარებში ტანთვარჯიშს, ამისთვის მაგალითის ძებნას შორს ნუ გამოუდგებით. აქვე ჩვენ თვალწინ გაიარეს გერმანელთა ჯარებმა თავის გამოჩენილი ფორტურ-

